

ამინტა

4
ერთობლივი
გიგანტის 1974 წელი

გამოცემის 51-ი რიცხვი. № 1422. იქნას 1974 წელი 20 მაისი.

ნახ. ნ. მალაზონიძე

— კაცი, რამდენჯერ გითხარი, ძაღლი მოიყვანჭ სადარაჯოზე-მეოქე!
— ძაღლი რომ მოვიყვანო, მთელ ლამეს ყეფით არ დამაძინებს!



ისანი თავი უნი!

(ეპიგრამა)

შენი ყალბი დიდება,
დროებითი დაფნითა,
იქცა ღამის ბინდებად,
წავიდა და გაფრინდა...

შენი ერთომეული
(ტრიუმფალურ ტირაჟით!)
მკითხელშემოლეული
ჩაწვა ას ვიტრინაში.

სხვაზე, აბა, რაო ვთქვა,
მაშინ, როცა ტრიბუნამ
გემოვნება წაგართვა,
ტვინი გადაგიბრუნა.

„საუკუნის მომლერალს“,
„უკანასკნელ მოძიებას“,
დრომ დაგრია ხელი და
უცელა ლექსი მოგიყლა!..

ნორმალური არ ჩანდი,
გემლვრეოდა გონება...
ღამით, ხმისჩახლეჩამდი,
„ჰეჭუხდი“ მიკროფონებთან.

შენი ყალბი დიდება,
დროებითი დაფნითა,
იქცა ღამის ბინდებად,
წავიდა და გაფრინდა!

ძველი გირების ცოცხალი წონა

აღ. ხევსური

გონიოს აგარაკი

ბონდოს ხელის შემხედვარე
იყო მთელი აგარაკი...
გაქონდა და გამოქონდა
იქ უცილი და აქ — კარაჯი!

და სულ მალე, ძლიერ მალე
(გაგვიგრძელდა ლაპარაკი!)
ბონდოიმ აგარაკე
აიშენა „აგარაკი“.

მაგრამ მოჩარი ის ბაზარი,
დრო დადგა და გაუბრედეს...
ბონდო ათას ხერელში გაძვრა,
ახგან ურტყა თავი კედლეს,

მაგრამ მაინც გაუჩირიკეს,
დაულუქეს, დაუკეტეს...

დაიღუპა ბონდოია,
უეჭველად დაიღუბა!
„მწყალობელიც“ განწე გადგა:
პირში წყალი დაიგუბა...

ჰოდა, მგონი თხრად რჩება
ბონდოის აგარაკი!
გართალია, ნაპარავი
სამედოდ დაფარა კი,
მაგრამ მაინც კულისებში
ციხეზეა ლაპარაკი!..



— ამ თავის ქალებს იმიტომ ვკიდებ, რომ
საქონელს თვალი არ ეცეს!

— მაგას თვალი კი არა, მგელი არ ეცემა!

ნახ. გ. ლომიძისა



ვეტერის კანონი

სისრულე

სანამდე მიენდობი,
სანამდე არ გამოცდი,
დადინის სხვისი ხელჭოხით,
სხვისი ტანისამოსით!
კუნძულ-კუნძულ დაძვრება,
ბუდეს უვეღვან იყოთებს,
დაიღურებენა აზრებად,
სიყვარულად,
სიყვოდე..
დატანტალებს,
დახტუნავს,

ანგარიშობს ყოველდღე,
უყვარს ხელის ფათური,
უყვარს მიეთ-მოეთი!
უვეღვან უყვარს შემოვლა
მოგონილი სილალით,
ვაგლან,
კარგი მეგობრის
ზოგჯერ სულშიც მინახავს!

ელდარ პერძევაპე



სელ-სელი მებუფეტე შალიკა ყველს თხელ-თხელ ნაჭრებად ჭრიდა და თევზებზე მეჩხად ალგებდა. სიფრიფანა ნაჭრები ქალალის ფურცლებით მოანდნენ... ყველის დაჭრას რომ შერჩა; პამიღოს მიუტრიალდა, ისრუებითად აქცია, თავზე ხახვის ორიოდე ნათალი მოაყარა და ოფიციანტს სწერ დაუდო...

— შალიკ! — გამოსძახა მზარეულმა.

— რა არის!?

— მოღი აქ!

— არა მცალია, ვმუშაობ!

— მუშაობ!.. შენც რა, მოკლე ყანასა მე!

— შენ ხომ ორპირის ბარვისაგან ელენთა გაქვს გაწვრილებული!

— ფული მიიღე! — გავძახე ოფიციანტს და ჯიბეში ხელი ჩავიყავო.

— შვიდი მანეთი და ოცდახუთი კავიკი, ბატონ! — მომაძახა მან და ურცხვად შემაჩერდა თვალებში.

ფული გადავიხადე და, ის იყო, გზას უნდა გვდგომოდი, რომ ეჭიის ჭია შემიჩნდა: „რაში მახდევინებენ ეს უსირცვილები ამდენს? ნუთუ, ეს სალეჭი ჩეზინი და ლიმონათი ამდენი ღრჩეს?“

— დაგილზე დავჭექი და გავძახე:

— ანგარიში ღმიშერე და მომიტანე!

— წერა რომ შემეცლოს, ბატონი, აქ ირ გამაჩერებდნენ!..

— მაშინ მებუფეტეს დაწერინე! ოფიციანტი მონუსტულიერ გაბრუნდა უკან, მებუფეტესათ მევიდა და ჩურჩულით ამცნო ჩემი სურველი. მებუფეტემ მგელივით გადმომხედა, მერე სანგარიშიშე გაპრა-გამოცერა და ისევ მე დამიბრიალდა თვალები. მე, ვითომ კერ შევამჩნიე: ტელეფონის მავთულზე შემომჯდარ ბეღურებს დაუწყე დაოვ და თან კრინით ვაღილრხდი...

ოცი წუთის შემდეგ ოფიციანტი ისევ მოვიწმე და თხოვნა გავუმეორე:

— ჰა, რა ჰერნი?

— ახლავე, ბატონი! — დამიძახა და ისევ მზარეულს მიუბრუნდა.

მებუფეტემ ბოლოების ჭრას თავი გაანება, დანით ხელში ჩემკენ წამოვიდა და სულთამხუთავივთ თავზე დამადგა:

— შენ რა, ანგარიში გინდა?

— ჰო!.. — ავძახე ნირწამნდარმა.

— მე ავლაბრელ შალიკოს მეძახია... ანგარიშის დაწერა არ კიცი, მათხოვარი არ გეგონო! ფულს, გინდა, იქით მოვცემე!.. ჰო, გინდა? შენ გეეითხები, გინდა-მეთქი?! — დამიღრიალა და ათმანეთიანებით საჭე მუჭა მაგიდაზე დაპკრა.

— გინდა და, აიღე! აიღე-მეთქი!.. კიდევ გინდა? აჲა, კიდევ! ესეც აიღე!.. — ახლა მეორე ჯიბე გამოსუფთავა ალიალებულმა მებუფეტემ და გარსშემოხვეულ ხალხს გამარჯვებულის იერით გადახედა.

— მე მაგიდაზე დაყრილი ფული მოვკიდე, ჯიბეში ჩავიდე და ჩესტორნიდან გამოვედო.


მეორე დღეს ჩემი მეზობელი ვარდენა მომიგზავნა შალიკომ: თავისი სამი მანეთი აიღოს და დანარჩენი გამომიგზავნოს. არ გავუგზავნე, მელის პირიდან გაგდებინებული ბატკანი ისევ მეგლს რად უნდა დავუბრუნო?

— მერე ჩემი ნათესავისათვის დაებარებინა: მორჩეს ხუმრიბას და ფული გამომიგზავნოს.


— მე სულაც არ მეხუმრება! ფულთას ხუმრიბა როგორ შეიძლება? ამიტომაც, გუშინწინ, ჩესტორნანში მივედი, მაგრაც ვიღაცამ მითხრა, შალიკო დაიჭირესო.

— ის ფული ისევ თეთრ მიტკალში მაქვა გამოხვეული და ჯიბეს მიწვავს!..

— რა ვუყო ამ ფულს!?



— თქვენ, თქვენს ცოლს, თქვენს ქალიშვილს, თქვენს ვაჟიშვილს, თქვენს შვილიშვილებს, თქვენს სიდედრს, ყველას ცალ-ცალკე, ავგომანქანები გაქვთ და გარაუის გამგედ ხომ არ მომიღებთ?



— შენი დაქირავება უფრო იაფი მივა-დება, ვიღრე აშისი მოსყიდვა!



— არა გრცხვენია ამხელა კაცს, მწვანილს რომ ჰყიდო?

— რას მერჩი, ბიძია, აგრონომიული დავამთავრე და პროფილით მუშაობის უფლება არა მაქვს?

რა ჰქნას პერილა?

უფროსმა მდივან ქალს თუ გაუდინა, მისი საყვარელია; მთადგილებს თუ ხელი ჩამოართვა, შეკრულია; ჩაფიქრებულმა თუ თანამშრომელს ისე ჩაურა, გამარჯობა არ უთხრა — ხალხს არ კადრულობს; საამქროში თუ შეიხვდა, თანამშრომლებს არ ენდობა; თუ კაბინეტში დაჯდა, ბიუროკრატია; თუ მივლინებაში წავიდა, დასეირნობს; თუ მანქანა-

ბიჭიგო პატარიძე

ჯორჯ მინის მინი-ზვინი

როგორც ცნობილი გახდა, ვაშინგტონში განხორციელდა ძველის-ქველი (წარსულში — დრამატული, ანლა კი — კომიკური) ოპერის „ცივი-ობი“-ს ახალი დაგმა, რომელშიც, როგორც ეს მოსალოდნელი იყო, დაგავებული აღმოჩნდნენ იგივე „მსახიობები“ (პერი ჯეგსონი, ბარი კოლდურტერი, სტრომ ტერმონდი, ჯიმზ ბაკლი), გუნდი („ჯონ ბერჩის საზოგადოება“) და ორკესტრი („თავისულების ლომი“). ამ გრანდიოზულ სპექტაკლს ძალავ დირიჟორობდა მისტერ პეტრაგონი.

არვის გაცვირვებისა არც სპექტაკლის სიუჟეტი და არც მასში მონაწილეობა, არც ის, რომ ამ პოლიტიკაზების გუნდში აღმოჩნდა სიბერის მარაზმით შეპყრობილი ბიჭოვ მარი, რომელიც ჯერ კიდევ „ცივი მოსახური“ დასაცყალი მიეყინა ამერიკის მომითი ფედერაციის — მწარმოებლური პროფესიონალურის კონგრესის თაგმადომარის სავარძელს.

თუ მექდევლობაში არ მივიღებთ გუნდთან ერთდ შესრულებულ სიმღერებს, ჯორჯ მინი ახალ მოერაში ასრულებს საშ დამოუკიდებელ, მაგრამ სრულიად არაორიკინალურ არიას. პირველში იგი საგაო პათოსით გმობს ამერიკის „მოტყუებულ“ ხელმძღვანელებს, რომელიც საკუთარი „გულუბრყვილობის“ მსახვერპლინი გახდნენ და საბჭოთა კავშირის მიმართ „ცალმხრივ დათმობებზე“ წაგიდნენ. მინის მეორე არია შეიკავს შემარიტად აპოკალიფსურ მოტივებს და ეს ეხება საბჭოთის მხრიდან „საშიროების გაძლიერებას“. მესამე კი — ნამდვილ ქრისტეს ტირილს წარმოადგენს.

საქმე ისაა. რომ თერის ფინალში იოკვევა, რომ ჯ. მინის გულისმაჩუყებელი და ტრაგიზმით აღსავს მოწოდებანი მიზანს არ იღწევენ და ამერიკელების უმრავლესობა საბჭოთა კავშირთან დაახლოების აშენა სურვილს გამოთქვამს. ეს კიდევ არაფრთი მინიმ ვერ დაიმორჩილა ზოგიერთი პროფესიონის ხელმძღვანელიც (საავტომობილო, აეროჰოსტოსური და სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის გაერთიანებული პროფესიონის, ამერიკის მოსახსახურთა ფედერაციის, ნაეთობის, ქიმიკური და ატომური მრეწველობის პროფესიონისა და სხვანი), რომელნიც მოითხოვნ კონტაქტების გაფართოებას საბჭოთა ხალხთან და, რაც მინისათვის ყველაზე საშიშია, საბჭოთა მუშებთან. როგორც გაზეთი „ვაშინგტონ პისტი“ არნიშნავს, მინისათვის ეს ნამდგომი „ამბოხება“ იყო, რომელმაც იმდენად არასასიამოვნო სასიათი მიიღო, რომ ჯ. მინი აღმოჩნდა იმ ხელ-დაკარგული მომღერლის როლში, რომელსაც სცენაზე გაშორენისთანავე ლაყე კვირცხებს უშენენ.

განა უნდა გვიკავიდეს ყოველივე ეს? როგორც ჩანს, ჯორჯ შინის საქმით შემხმარ მინი-ტეინს აღარ იალუბს გონივრულად აღიქვას მსოფლიოში მიმდინარე პროცესები და რეალობანი. მართალია, მას ჯერ კიდევ ჰყავს პარტნიორებიცა და ზოგჯერ მსმენელნიც, მაგრამ მათი გამოსვლები იმედია, სულ მაღალ ისეთ ანაქრონიზმად იქცევა, როგორც თქით ბრონტრავერების ხმა, იმ ბრონტოზაგრებისა, რომელთა სხეულის წონა უდრიდა 30 ტონას, ხოლო ტეინისა — ნახევარ კილოგრამს არ აღემატებოდა. მეცნიერთა მტკიცებით, სწორედ ამ დისპროცენტურიამ მიიყვანა ცხოველთა სამყაროს ეს წარმომადგენლები გადაშენებამდე.

როგორც ჩანს, იგივე მოელის XX საუკუნის „ბრონტოზავრებსაც“.



განცხადება

დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ შეიძინონ კონკრეტულის ახალი ნიმუშები... ანონიმური წერილებისათვის!

საბაზოვო ჩაღში

— ბავშვებო! დღეს სიხარულით აღვნიშვნა ჩვენი ბავშვი ბალის დაარსების 40 წლისთვის!
— ევ, რა მალე გარბის დრო! — ჩაილაპარაკა 4 წლის ბიჭუნამ.

შეიდველი და გამყიდველი

- ეს გაქვთ?
- არა!
- ეს?
- არც ეგ!
- ის?
- არც ის!..
- აბა, გვგმას როგორ ასრულებთ?
- გადაჭარბებით!

მომღერალმა ქალმა პირველი პრიზი მიიღო... საუკეთესო კაბისა და სამკაულისათვის!

აცლო კოდოლია

- რატომ არ გაძლევენ ბინას, სევასტი?
- ცოლი არა გყვასო.
- მერე, რატომ არ ირთავ?
- არავინ მომყვება, ბინა არა გაქვსო!

თარიღი გარემონაზოლი

ვაგას ხეა უცვარს...

ერთ ქვემდგომ ინსტანციაში პატიოსნად მომუშავე ფხიზელ მუშაქს დაწინაურება დაუპირეს.


— მაგას სმა უყვარს! ამ თანამდებობაზე არ გამოდგება! — კატეგორიული უარი თქვეს ზემდგომ ინსტანციაში.

...ერთხელ, პატიოსნად მომუშავე ის ფხიზელი მუშაკი იმ წვეულებაში მოხვდა, სადაც ზემდგომი ინსტანციის წარმომაზენელიც იყო.

მასპინძელმა პატიოსნანი და ფხიზელი მუშაკი სუფრის თამადად დასახელა.

— მაგას სმა უყვარს! თამაღის თანამდებობაზე არ გამოდგება! — კვლავ კატეგორიული წინააღმდეგი წავიდა ზემდგომისტან-ციელი...

მას შემდეგ, პატიოსნად მომუშავე ის ფხიზელი მუშაკი ფხიზელი აღარავის უნახავს!..



74
1974.

74-126

ՀԱՅԱՍՏԱՆԻ
ՀՈԼՈՇՈՊՈՅԻ ՀՅ

Индекс 76|37

Ե. Յ. Համազուն



ԲՈԼՈՅԼՈ ԾԱՑԱՏԿԵԲԸ ՏԵՍ ՄԴՐ ՎԵՐԵԲԵՐԵԲԵՐ ԽԵՑ-
ԽԵՏ ԵՐԵԲԸ ՄԵՇՆԴԵԼՈ ՄԹԱԳՐՈՒԹԻ ՄԹՄԵՐԵ ՄԵՋՈՎՈՆԻՆ
ՑՄՇԱԿՄԱ ՑՆՇԵՑՆԵԼՈՎԱՆԸ ՆԱՇՈՂՈՒՆ ՔՈՆԱՀՄՁԵՎ
(ՀԱՇԵԹԵՑՈՒՆ)